

“ჰიბრიდული ომი” რუსეთის გეოპოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალება

ზვიად ჭელიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები)

პროექტის ხელმძღვანელი პროფესორი: დავით დარჩიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

აბსტრაქტი

მოცემულ სამაგისტრო ნაშრომში განხილულია საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი მიმართულება ”ჰიბრიდული ომი“- რუსეთის გეოპოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალება, რომელიც თანამედროვე მსოფლიო უსაფრთხოების მნიშვნელოვანი გამოწვევაა. 2014 წელს, „მწვანე კაცუნების“ მიერ ყირიმის ანექსიამ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა დასავლეთი. პრეცედენტი რაც რუსეთმა შექმნა აჩენს რისკებს, რომ არატრადიციული სამხედრო გზით კვლავ შეიძლება განახორციელოს მსოფლის რომელიმე სახელმწიფო ტერიტორიის ანექსია.

ნაშრომში კვლევის თვისობრივი მეთოდის, კერძოდ შედარებითი ანალიზის მეთოდით განხილული იქნება ევროკავშირის უკრაინის და სირიაში განხორციელებული ჰიბრიდული ქმედებების შედარებას, რის მიხედვითაც უნდა დადგინდეს, კონკრეტულ შემთხვევებში როგორ ირჩევს სამიზნე ქვეყნებს და როგორ ახორციელებს ჰიბრიდული მეთოდებით როგორიცაა; მასმედია, ეკონომიური ბერკეტები და რბილი ძალა მასზე ზეწოლას. კვლევის ძირითად დასაკვირვებელ საგანს წარმოადგენს, რუსეთის ჰიბრიდული ქმედებების გავლენა სამიზნე სახელმწიფოებზე და მისი შეკავების გზები. კვლევა ეყრდნობა ისეთ საერთაშორისო თეორიას როგორიცაა კლასიკური რეალიზმი, რომლის თანახმადაც შეიძლება დასკვნის თუ როგორ ცდილობს რევიზიონისტული სახელმწიფო თავისი გეოსტრატეგიული მიზნების მიღწევას თუნდაც საერთაშორისო ნორმების უგულვებელყოფით, ევროპაში არსებული სტატუს-კვოს შეცვლას. ნაშრომი ადგენს, თუ როგორ ცდილობს რუსეთი თავისი სახელმწიფო რესურსების მობილიზებით იერიში მიიტანოს რომელიმე სამიზნე ქვეყნის მოწყვლად წერტილზე, როგორ აღიქვას დემოკრატია დასავლეთის სისუსტედ, აგრეთვე აუცილებელია განისაზღვროს ის ერთობლივი სამოქმედო გეგმა თუ როგორ აპირებს დასავლეთი რუსული „ჰიბრიდული საფრთხის“ შეკავებას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ჰიბრიდული ომი, რუსეთი, სხვა ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევა, არა სამხედრო მოქმედებები, კონფლიქტი.

Abstract